წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათი 14 ივლისი

# სამშობლო

№404

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 11 ივლისიდან ახალი პროგრამა.

გომონის ქრონიკა.

დორიან გრეის სურათი.

ოსკარ უაილდის ცნობილ რომანის შინაარსით. ძლიერი დრამა 6 ნაწილად საიმპერატორო სცენის მსახიობის ვ. ე. მეიერხოლდის სცენარიით, რეჟისორობით და მონაწილეობით, მის მიერვე დადგმული. მონაწილეობენ: ქ-ნნი იანოვა, ერნიტან, ბელოვა, უვაროვა და ბ-ნნი: ლევიტანი, ვოლკოვი და სხვანი.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 14 ივლისიდან ნაჩვენები იქნება:

ინგლისელთა ჯარი მოსკოვში

ბუნებრივი, სკობელევის კომიტეტისა.

ოქროს ოცნების სიზმარი, ფლორენტიული ლეგენდა 4 ნაწილად მხატვრულად დადგმული გომონის ფაბრიკისა, ქ-ნ სუსანა დელვეს და ბ-ნ ტალვეს მონაწილეობით. მთელი სურათი ფერადებითაა შესრულებული.

გადაცმულის თავგადასავალი.

სახუმარო.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 11 ივლისიდან ახალი პროგრამა.

და გაპაქროლეპ ჩემსა რაშებსა.

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე, ცნობილ მსახიობთა, ბ-ნ მაკშეევისა, ქ-ნ ორლოვისა და ქ-ნ პანოვის მონაწილეობით.

თმა ჭაღარა მოტრფიალე, კომედია ფარსი 2 ნაწილად ცნობილ მსახიობის კამალ-დე-რიზოს მონაწ.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 14 ივლისიდან ნაჩვენები იქნება:

გომონის ქრონიკა. მიმდინარე ამბები.

ნევის პროსპექტი

დრამა ოთხ ნაწილად ნ. ვ. გოგოლის მოთხრობის მიხედვით.

მზარეული ქალის შურისძიება.

სახუმარო.

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ, საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლჟვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

აძლევს გაკვეთილებს

ფრანგულ ენისას.

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ებანოიძე

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭიშვილისა.

სურამი.

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეებს.

მისამართი: იტრია, სახლი ლურსმანიშვილისა.

245 3—1

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედაქც.

ვიყვან მოწაფეებს ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე.

აბორინის ქუჩა, სახლი დიმიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მწუხარებაში მყოფნი მელიტონ ეგნატეს ძე ელიავა, მეუღლე მისი ნინო, თ-დ ნიკო ჩიჩუას ასული, შვილები: ქიქიკო, ქსენია, ტასო კიზირიასი და ალექსანდრე იაგორის ძე გუგუშვილი დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველთა შვილის და უკანასკნელთა ძმის

პროვიზორ ირაკლი მელიტონის ძე ელიავას

გარდაცვალებას, რომელიც დედ-მამის დაუსწრებლათ დასაფლავებულ იქნა ქ. იალტაში—ადგილობრივ სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველკვირა დღეს ორმოცამდე გადახდილ იქნება ნაესაკოვის საგვარეულო ეკლესიაში. 1—1

## განცხადება.

სადგურ რიონზე **დავკარგე** რედიკიული, რომელშიაც მქონდა მეტრიკული, მოწმობა სხვადასხვა ქაღალდები და ათი მანეთი ფულად. მპოვნელს ვსთხოვ ფული მიიღოს და მოწმობები კი დამიბრუნოს, ძლიერ საჭიროა. ყოველ შემთხვევაში კიდევ საჩუქარს მიიღებს 10 მანეთს. ივლიტა სიმონის ასული ტროიან-ნეზაბუტოვსკაია.

ადრესი: რედაქცია „სამშობლო“.

იცემა იჯარით ჩემ მიერ იჯარით აღებული

საღორიის აგარაკზე **საეზოვო მიწა** ორმოცი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

პირობების გაგება შეიძლება ა. კოხრეიძის სტამბაში, პუშ. ქუჩა.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 12 ივლისი მაძოლის ტბის ნაპირს მდგომ მტერს წუხელი ჩვენი არტილერია უშენდა. ბარანოვიჩის ჩრდილო აღმოსავლეთით სკრობოვთან მტრის პატარა ძალები წინ წამოსვლას ლამობდენ, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ლუქვის ჩრდილოეთით ჩვენ ადგილ-მდებარეობას გერმანელთა ჰაეროპლანებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს, ზარალი არ არის. ლუქვის მიმართულებით, სემერინკისთან მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. გუშინ წინსვლის დროს გალიჩანთან (შტაბის დილის ცნობა 11 ივლისისა) თვით სოფ. გალიჩანეს ქუჩებში მოხდა ბრძოლა. რომლის დასისაც ჩვენ ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის მფრქვეველი და 77 ტყვე ავსტრიელები და გერმანელები. 12 ივლისს სლოიანოვკის და ლეშოვის მიდამოებში გენ სახაროვის მამაცმა ჯარმა გაარღვია მტრის მავთულის ხლართები. აქ მედგარი ბრძოლაა. დღის განმავლოდღის განმავლობაში საყურადღებო არა მომხდარა რა.

კავკასიის ასპარეზი.

ერმინჯანის შოსსეზე ზიარეთ ტანასის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მოიგერია ოსმალთა კონტრ იერიშები და აღლიკთან სიმაღლეები დაიპყრო.

ჩვენი წინსვლა გრძელდება. ერმიაჯინის შარა გზის აღმოსავლეთით ოსმალათა იერიში მოვიგერიეთ და რით ჟერკიდურუნ დაროსის ხაზი დავიპყარით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ბოზ-ტაპა-მერტეკლის ხაზს მიაღწიეს.

**ლონდონი.** 10 ივლისი. მესოპოტამიის ჯარის სარდალი უარყოფს ოსმალთა ოფიციალურ ცნობას, ვითომ მათ ეფრატზე 7 გემი ჩაეგდოთ ხელში, ბასორასთან ერთი ინგლისელების რაზმი დაემარცხე ბინოთ და ერთიც ჰაეროპლანი ჩამოეგდოთ.

**ლონდონი.** 11 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. პოზიერის მიდამოებში ინგლისელთა ჯარის წინსვლა გრძელდება, აქ რამდენიმე ტყვე ჩაიგდეს ხელში. დანარჩენ ასპარეზზე პოზიერიდან ვილიშონამდე უმკაცრესი ბძოლები გრძელდება

**ლონდონი.** 11 ივლისი. საამირბარო იტყობინება. 9 ივლისს შუა ღამისას ნეორხიპდერის მაიაკთან ინგლისელთა რამდენიმე კრეისერმა შენიშნა გერმანელთა 3 კონტრ ნაღმოსანი, ვიდრე ინგლისელთა კრეისერები იერიშს მიიტანდენ, კონტრ ნაღმოსნები მიიმალნენ. შემდეგ სხოცესთან იგივე კრეისერები შეხვდენ გერმანელთა 6 კონტრ ნაღმოსანს. კრეისერებმა ბრძოლა გაუმართეს და, მიუხედავად იმისა, რომ კონტრ ნაღმოსნებს რამდენჯერმე მოხვდათ ყუმბარა, მათ მაინც მოასწრეს ბელგიის ნაპირებთან თავის შეფარება. ინგლისელთა ერთ გემს მოხვდა ყუმბარა, რომელითაც მსუბუქად დაიჭრენ ერთი აფიცერი და ერთი ჯარის კაცი.

**ლონდონი.** 11 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. ღამემ შედარებით მშვიდათ ჩაიარა, მხოლოდ ძლიერი საარტილერიო სროლა გრძელდება გუშინდელ მძაფრი ბრძოლების შემდეგ დღის განმავლობაში გერმანელებს კონტრიერიშები მიჰქონდათ მაგრამ ვერა გააწყვეს რა. ამავე დროს კი ინგლისელთა არტილერიის და ტყვიის მფრქვევლების წყალობით დიდათ დაზარალდნენ. გილმონის მიმართულებით ფუროს ტყესთან ინგლისელებმა რაოდენადმე წინ წაწევა მოახერხეს. პოზიერთან, მიუხედავათ გერმანელთა სასტიკი წინააღმდეგობისა ინგლისელებმა თვალსაჩინო წარმატება ნახეს. ამ ჟამად სოფლის მომეტებული ნაწილი ინგლისელებთა ხელშია. პოზიერის მიდამოებში ინგლისელებმა ხელთ იგდეს ორი ზარბაზანი და 60 კაცი დაატყვევეს

**პარიზი.** 11 ივლისი. შუადღის ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის ასპარეზზე ღამემ მშვიდობიმნად ჩაიარა ცუდი ამინდი იდგა. ენის ჩრდილოეთით, ვალიის ახლოს ფრანგთა მზვერავები გერმანელთა სანგრებში გაჩნდნენ და ტყვეები წამოიყვანეს. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე, ფინთან ხელჩართული ბრძოლის დროს ფრანგებმა 30 კაცი დაატყვევეს. უკანასკნელ ცნობების მიხედვით აქ ფრანგებს 800-ზე მეტი კაცი დაუტყვევებიათ. ღამის განმავლობაში გერმანელთა ჰაეროპლანი ლუნევილს ყუმბარებს უშენდა, დაჭრილია ერთი კაცი. ფრენთან პოდპორუჩიკმა შაპიუმ მერვე ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ვოს მიდამოებში ფრანგთა მფრინავები გერმანელთა ჰაეროპლანს გამოეკიდნენ, უკანასკნელი ჩამოვარდა და მფრინავი დაიმტვრა. 10 ივლისს დღეღამის განმავლობაში ფრანგთა მფრინავებმა ჩამოყარეს: 8 ყუმბარა. კონსუელის სადგურზე, 40 ბინელის შენობებში, ხოლო ლედრომ-დეიზის ყაზარმებში-25 ყუმბარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, მოსალოდნელია ახლო მომავალში ჰინდენბურგი აღმოსავლეთის ასპარეზზე მომქმედ მთელი ჯარების უფროსად დანიშნოსო.

— —

დღიდან მოკავშირეთა პირველი შეტევისა გერმანელებს 150 ათასი კაცი დაჰკლებიათ.

— —

მოსკოვიდან, იტყობინებიან ახლო მომავალში იტალია ომს გამოუცხადებს გერმანიასო.

— —

საბერძნეთში საარჩევნო აგიტაცია დაიწყო გუნარისი იმუქრება, თუ ვენიზელოსი გავიდა გერმანია მაშინვე ომს აუტეხავს საბერძნეთსაო.

— —

გერმანიის სავაჭრო წყალქვეშა „დეიტშლანდი“ ამერიკიდან გამოვიდა გერმანიაში დასაბრუნებლად

— —

იმპერატორ ვილჰელმს ერთ ალაგას თავის სიტყვაში სხვათა შორის უთქვამს: „როცა ომის შემდეგ სანგრებში მსხდომნი შინ დაბრუნდებიან, ისინი მთავრობას ისე მტრულად აღარ მოექცევიან და მასთან ერთად იმუშავებენო“.

— —

სალონიკის ასპარეზზე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა.

პრინც ვიდს კვლავ მიუმართავს ალბანელებისათვის, ავსტრიის ჯარში ჩაეწერეთო.

— —

ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი სერ ედუარდ გრეი და რუმინიის ელჩი დიდ ხანს საუბრობდნენ. გაზეთები ამ საუბარს დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

— —

ამ რამდენიმე თვის წინად მოკავშირეებმა გადასწყვიტეს ჯარის გადასხმა ჰოლონდიის მიწაწყალზე, რათა ბელგიაში მომქმედ ჯარისათვის ზურგიდან მოევლოთ. ჰოლანდიამ მაშინვე ენერგიულ ზომები მიიღო და მობილიზაცია მოახდინა. ეხლა გერმანელებს ზეებრიუგესთან საზღვაო და საჰაერო ძალები გაუძლიერებიათ.

— —

დანიის მეფემ დათვალიერა კოპენჰაგენის ციხე და სხვა სიმაგრეები ზღვის მხრიდან.

— —

ბუქარესტში დორნა ვატრიდან იტყობინებიან, რომ სერბიაში ხალხს მიწაში ჩაფლული იარაღი ამოუღია და აჯანყებუ

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მიაძილოს ტბასთან რუსებმა ზარბაზნები დაუშინეს გერმანელთა ჯარის ადგილ მდებარეობას. ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსებმა გერმანელთა იერიშები მოიგერიეს. ლუცკის ჩრდილოეთით ორი გერმანელთა ჰაეროპლანი რუსის ჯარს თავს დასტრიალებდა ლუცკის მიმართულებით გერმანელ-ავსტრიელები წინ წამოწეულან, მაგრამ რუსებს უკუ უქცევიათ. სოფ. გალაჩინეს ქუჩებზე ხელ ჩართული ბრძოლები მოხდარა. რუსებს ხელთ უგდიათ 2 ტყვიის მფრქვეველი და 77 ჯარის კაცი დაუტყვევებიათ. გენ, სახაროვის ჯარს გერმანელთა მავთულის ხლართები გაურღვევია და დიდი მკაცრი ბრძოლა დაიწყო.

**კავკასიის ასპარეზი.** ერძიჯანის შარა გზაზე ზიარეთ-ტანასის ხაზზე რუსებმა ოსმალთა ორი კონტრიერიში მოიგერიეს და დაიპყრეს მნიშვნელოვანი სიმაღლეები. რუსების წინ სვლა გრძელდება. ერძიჯანის შარა გზის აღმოსავლეთით რუსებმა ურკი-დუსინ-დაროსის ხაზს მიაღწიეს, მხოლოდ ცხენოსანმა ჯარმა კი ბოზ-ტაპა მერტეკლის ხაზს.

**დასავლეთის ასპარეზი**. ვერდენთან მდგომარეობა უცვლელია. ფრანგებს უკანასკნელ ხანებში 800 ჯარის კაცი დაუტყვევებიათ. აქ გერმანელთა ერთი ჰაეროპლანი ფრანგთა მფრინავმა ჩამოაგდო. დღე ღამის განმავლობაში მფრინავები ორივე მხრით ენერგიულად მოქმედებდენ.

ენის ჩრდილოეთით ფრანგთა მზვერავებმა გერმანელთა თხრილებიდან წამოიყვანეს ტყვეები. ფინთან ხელჩართული ბრძოლის დროს ფრანგებმა 30 კაცი დაატყვევეს.

ინგლისელებმა არტილერიის და ტყვიის მფრქვეველების ცეცხლის შემწეობით პოზიერთან კვლავ წინ წაიწიეს, ისე რომ ამ ჟამად მათ ხელშია სოფლის უმეტესი ნაწილი.

**იტალიის ასპარეზი.** მთელ ასპარეზზე ჩვეულებრივი ხასიათის ბრძოლებია.

**ჩრდილოეთ ზღვაზე** ინგლისელთა კრეისერები შებმიან გერმანელთა კონტრ ნაღმოსნებს და გაუქცევიათ.

---

ლა. ბევრი ავსტრიელი აფიცერი გაქცეულა.

— —

ათინაში რამდენიმე ავაზაკი მისულა რომელთაც ვენიზელოსის მოკვლა ჰქონიათ გადაწყვეტილი. ვენიზელოსს ერგულ კრიტელებში იცავენ.

— —

გერმანელებს ერთი ახალი მოწყობილების მძიმე ზარბაზანი კიდევ გამოუგონიათ. ეს ზარბაზანი მრავლად დაუმზადებიათ და ეხლა დასავლეთის ასპარეზზე ეზიდებიან.

— —

ბუქარესტის გაზეთები იტყობინებიან ფრანც იოსები ძალიან ავად არის და სულ რამდენიმე დღეში გარდაიცვლებაო.

— —

რუმინულ გაზეთების ცნობით ბულგარეთში ხოლერა გაჩენილა.

— —

გერმანელთა ერთ სამხედრო გემს დაუტყვევებია შვეციის სავაჭრო გემი „კონუნგოსკარი“ და სვინემიუნდეში წაუყვანია

— —

გერმანელებს „დაიტშლინდი“-სთან, ოც და ხუთი სავაჭრო წყალქვეშა გემი გაუკეთებიათ და ბევრი მათგანი უკვე მზად ყოფილა.

— —

ვოლნასთან გაჩაღებული საარტილერიო ბრძოლაა. ახლო მომავალში მოსალოდნელია გენერალური ბრძოლა. ავსტრიელები რიცხვით ნაკლებნი არიან და ამიტომ იტალიელები წინ მიიწევენ.

— —

საკვებით დატვირთული ამერიკული ოთხ ანძიანი ნავი, სანფრანცისკოდან ტრელლებორგში მინადენი გერმანელ წყალქვეშებს შეუპყრიათ და სვენემიუნდეში წაუყვანიათ.

— —

არხის კილის აღმოსავლეთით გასავალთან ბევრი ნავსადგური გერმანელებს სრულიად დაუკეტიათ ნეიტრალურ სავაჭრო გემებისთვის.

— —

რუმინიაში ამ ბოლო დროს დიდი ამბები ხდება ერთი მანიფესტაცია მეორეს მოსდევს ხალხი. „ძირს გერმანია-“ს ყვირილით დადის ქუჩა-ქუჩა და ნაციონალურ ჰიმნს მღერის ამ ცოტა ხანში რუმინიის გამოსვლას მოელიან მოკავშირეთა მხარეზე.

---

## სამხედრო მიმოხილვა.

**რიგის ასპარეზი.** ბოლო კვარას რიგის ასპარეზზე მთელი რიგი ცხოველი ბრძოლებისა მოხდა. ბრძოლები მეტად ენერგიულად იყო წარმოებული და შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ აქ დიდი რამ მომხდარიყო

რიგის ასპარეზი ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია იგი არსებით განირჩევა აღმოსავლეთ ასპარეზის სხვა ნაწილებიდან და სრულიად სხვა, თავისებური ხასიათი აქვს ამ ბრძოლის პირს.

რიგის სიმაგრეთა ბრძოლის ხაზი ერთი ალაგთაგანია, სადაც სავსებით გადაიშალა თანამედროვე ომის განვითარებულ ტეხნიკის დიდი შესაძლებლობა.

ის, რაც დაწერილა დღემდე რიგის ასპარეზის შესახებ რამდენიმე ტომის მასალათ ივარგებს.

რიგის ასპარეზი თავისი ტეხნიკურ მოწყობილობებით მოაგონებს ადამიანს დასავლეთ ასპარეზის რომელიმე ნაწილს. უფრო მეტი, რიგის ასპარეზი ტეხნიკურის მხრით მრავალ ნაწილს დასავლეთ ასპარეზისას აჯობებს.

ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ ვიფიქროთ, რომ აქ რუსები არ დაიწყებენ შეტევას. იმდენად მკვიდრია რიგის ბრძოლის პირის და საერთოდ მდ. დვინის სიმაგრეები, რომ სერიოზულ შეტევაზე აქ ლაპარაკიც კი მეტია.

დვინა—რიგის სიმაგრეებთან შედარებით გალიციის სიმაგრე მოსატანიც კი არის. და, თუ იქაც კი ვერ იქნა დროზედ გარღვეული ბრძოლის პირი, რაღა უნდა იყოს რიგა-დვინის ასპარეზზე, სადაც პირდაპირ საზღაპრო საველე სიმაგრეებია გამართული.

ეს ნათლადა აქვს წარმოდგენილი რუსის ჯარის მთავარ სარდლობას, იკავებს თავს და არ იწყებს შეტევას რიგა-დვინის ხაზით.

თუნდაც, ვთქვათ, რომ რუსებმა შესძლეს რიგა-დვინის ასპარეზის გარღვევა და კურლანდიაში ღრმად შეჭრა, რა მოჰყვება ამას?

იმდენი არაფერი.

პირიქით რუსის ჯარი უფრო ხიფათში ჩავარდებოდა:

დიდი ძალები დააკლდებოდა სიმაგრეების აღებაში, მხოლოდ მდგომარეობა კი თითქმის უცვლელი დარჩებოდა. ჩვენ კარგად ვიცით. რომ თანამედროვე საველე სიმაგრეთა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მოკლე ხანში შეიძლება მათი აგება.

რამდენიც წინ წაიწევენ რუსები იმდენი წინ ახალ-ახალი საველე სიმაგრეები დახვდებათ, როგორც ამას ვხედავთ მდ. სომმაზე ინგლისელების წინსვლის დროს.

ამნაირად რიგა-დვინის ხაზით შეტევის უპირატესობა რუსებისთვის იკარგება

აქ იმ შემთხვევაში იქნებოდა ხელ საყრელი წინსვლა თუ იგი არ ექნებოდათ გერმანელებს საკმაოდ გამაგრებული. მაგრამ სწორედ ამას მიაქციეს მათ ყურადღება და დროზედ გაამაგრეს.

თუ ეს ასეა, ყოველი ბრძოლის პირი ერთნაირ წინააღმდეგობის გამწევია და ფართე მანევრები შეუძლებელი გახდა, — უმჯობესია შეტევა სხვა, გერმანელთა ცენტრებს უფრო დაახლოვებულ ასპარეზებით იქნეს შეტევა წარმოებული.

მეორეს მხრით ვერც გერმანელები აწარმოებენ აქ ფართე შეტევას ვინაიდან წინ წამოსული გერმანელთა ჯარი ადვილად იქნება მოწყვეტილი თავის ბაზებს. მდგომარეობა მათთვის მით უფრო გაუარესდება, რომ წინ წამოსვლა, უგზოობის გამო ვერ შესძლებს სიმაგრეთა ასაგებათ საჭირო მასალის დროზედ მოზიდვას და ფეხის მომაგრებას.

ამნაირად რიგა დვინის ხაზზე გაჩაღებული ბრძოლები სავსებით დემონსტრატიულის ხასიათისაა და არავითარი ცვლილება დიდ ხნობამდე ამ ასპარეზზე მოსალოდნელი არ არის ჯერ ჯერობით. სხვა ასპარეზებით დამყარებული მდგომარეობა არა ჰქმნის ისეთ პირობებს, რომ რიგა დვინის ხაზზე სერიოზული ბრძოლები მოხდეს.

შვერელი

---

## ქართული პრესა.

„ნათქვამია ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“ სწორედ ასე გვემართება, ჩვენ, —ქართველებს, — აი რასა სწერს ამის შესახებ გაზეთი „საქართველო“.

ამ ომის განმავლობაში დაპყრობილ შავი ზღვის სანაპიროების შესახებ მთავრობას ჰქონ და ერთგვარი გეგმა, [illegible] ბოდა იმაში, რომ [illegible] თვე მთლად აჭარა, [illegible] მაჰმადიანები იძულებით იქმნენ აყრილი და განდევნილი, სრულს საკუთრებად მიეცად ამ ომში მონაწილე აფიცრობისთვის. ასეთი ცნობა ჩვენს გაზეთშიაც მოვიყვანეთ. ეხლა ამას უნდა დაუმატოთ კიდევ ახალი ამბავი—ბათუმის გუბერნატორს გაუგზავნია მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მმართველობისთვის 18 თხოვნა ,,პოლტაველ თავად- აზნაურთა‘‘, რომელნიც თხოულობენ მიწებს მთლად დაპყრობილ ლაზისტანის არე-მარეში. გუბერნატორის აზრით ,,მთხოვნელები მხვილი მესაკუთრენი არიან და მათ სურთ მაღალი ხარისხის კულტურის გაშენება‘‘. რა გვარი მაღალი კულტურის გაშენება უნდათ ,,პოლტაველ აზნაურებს‘‘ ეს ჩვენ არ ვიცით და ვინ იცის, იქნებ თვით მათაც ამის შესახებ ჩვენზე უფრო გარკვეული წარმოდგენა არ ჰქონდეთ. მაგრამ ეს ,,მაღალი კულტურის‘‘ საბუთი მაინც თავისას იზამს და ალბად ტრაპიზონის მიდამოებში ამ აზნაურებს დიდის თავაზით მიუზომავენ მიწებს იჭვი არ არის, რომ ნუშის, ფორთოხლისა და ზეთისხილის ბაღებში ეს აზნაურები ,,მაღალ კულტურას‘‘ შეიტანენ ისე, როგორც შეიტანეს ეს აფხაზეთში და ეხლანდელ შავი ზღვის გუბერნიაში, სადაც ოსმალეთიდან უკანასკნელ ომის შემდეგ რუსეთის ნთავრობამ ხელი შეუწყო ჩერქეზებისა და აფხაზების აყრას და გადასახლებას და მათი მიწები რუსეთის დამსახურებულ მოხელეებს დაურიგია. ამას უთუოდ მაშინაც მაღალი კულტურის შეტანით დაასაბუთებდენ. და ეს კულტურა კი იმაში გამოიხატა, რომ საუცხოვო ბაღები სრულიად გაჰქრნენ. ეხლაც მოიპოვება ამ მიდამოებში ჩერქეზთა და აფხაზთა უოფილი სოფლები ტყედ ქცეულ ხეხილის ბაღებით.

გაუგებარი და უაზროა ასეთი პოლიტიკა. კულტურული მიზნები აქ რა მოსატანია, მაგრამ ეს არ მართლდება არც სახელმწიფოებრივი თვალთაზრისით. სახელმწიფომ რომ დაპყრობილ ქვეყნებში თავის ქვეშევრდომებს მიწები მოუპოვოს, ეს ეხლანდელ დროში არავის არ აკვირებს. მაგრამ აქაც ერთგვარი გარჩევაა საჭირო. ერთია სახელმწიფო, რომელიც თავის საზღვრებში არ ეტევა, რომელიც მიწის სივიწროვეს განიცდის და სულ სხვაა, როდესაც სახელმწიფო თითქმის ცარიელია, საზღვრები განუზომელი და ველ-მინდვრები დაუსრულებელი, დაუმუშავებელი, მოუვლელი. თუ ასეთი სახელმწიფო ახალ ქვეყნებს დაიპყრობს, რად უნდა აიძულოს მან მკვიდრნი, რომ მათ თავისი მამულები მიატოვონ და სხვაგან გადასახლდენ. მით უმე-

---

# მსხვერპლი. *)

გათენდა და მზე არსად სჩანს,
არ აბრწყინებს ცას მის სხივი,
ხმელეთს ნისლი გადაჰკვრია
და სტვენს ქარი, ეს გულ-ცივი.
ზღვა ჰქუხსა და ზღვა როყინებს,
ქეჩოსა ჰყრის და პირს აღებს,
გულზე ქაფი ბრაზად ადგას,
თავს ევლება ტალღა ტალღებს.
ზღვის ნაპირას კორდი სდგია,
კორდზე მოსჩანს ხალხის გროვა,
მუშათ გროვა დატანჯული,
გულმწუხარე, ვით თვით გლოვა.
მწუხარება თავზე აწევსთ,
რაღაც სტანჯავს თითოს მათგანს:
საგანი აქვთ და ყველას სურს,
რომ ემსხვერპლოს ამ დიდ საგანს.
ის, რომ შრომით დღეებს ლევენ,
შუბლს ოფლი ვერ შეუშრიათ,
მათის შრომით სხვა მდიდრდება,
თვით კი შიათ, მუდამ შიათ!
შია დედას, ქოხში მშრომელს,
გაუშრია ძუძუ შიმშილს,
კნავის შვილი უსუსური
და ვერ შველის დედა თვის შვილს.
უძლურ მოხუცს პური უნდა,
მაგრამ არ აქვს ლუკმა-პური
და გულიდამ ხშირად გჯება
შვილზე წყევა საყვედური:
მას ჰგონია, მისი შვილი
იქ, მუშებთან, ქეიფშია,
ის კი, ლონე მილებული,
მარტო წევს და მუდამ შია...
ვინც არ შრომობს, თვით სამოთხის
კარი არის მისთვის ღია,
და ამ მუშაკს, ოფლში მცურავს,
კუჭიც კი ვერ გაუძღია.
და ამაზე ზღვის პირს კორდზე
მუშაკები თათბირობენ.
ზედ აჰტყვია ყველას სახეს,
რომ ძნელს რასმე აპირობენ.

II

მუშათ შორის სდგას მაღლობზე
მოღვრემილი ვიღაც ვაჟი,
სიტყვას ამბობს რწმენით სავსეს,
ცეცხლებრჰკვესავს, ვით ტალ—კაჟი.
ამბობს: ძმებო! ჩვენი საქმე
წმინდაა, თუ ვუგდებთ ყურსო!
რას გვერჩიან? რას გვართმევენ
ოფლით ნაშოვნ ლუკმა-პურსო?!
ნუ თუ ჩვენცა კაცნი არ ვართ?
არ გვაქვს აზრი, არც გრძნობაო?
რათ არვის სურს ჩვენი გულის
მწუხარების გაცნობაო?
პირუტყვს ჩვენზე მაღლა სთვლიან:
რაღა დაგვრჩა ჩვენ კაცისო?
რაღათ გვბორკავს ჩვენ კანონი
ან ამ ქვეყნის და ან ცისო?
ჩვენი კვნესა ზეცას სწვდება,
ოფლი ქვეშ ზღვად გადიქცაო,
მაგრამ ჩვენთვის ორნივ ყრუა—
ქვეშ მიწა და ზემოდ ცაო!
ყველა ჩვენ გვთვლის დაბალ ლობედ.
ქედს ამაყად გვაზიანო.
უწმინდურის, ბინძურ ფეხით
ჩვენს გულ-მკერდზე დადიანო.
— „შენ მუშა ხარ„—ჩაგვძახიან—
შენ გლეხი ხარ, შენ ყრუ ხარო!
წილად გერგო მწუხარება
და ღირსი ხარ, თუ სწუხხარო!
მიწა მდიდარს მიათვისეს,
ჩვენ უმიწოდ დაგვაგდესო,—
და მწარ შრომით შორს ქარხნებში
ჩვენ ლუკმა პურს ვეძებთ დღესო.
აქაც ნაშრომს გვიკავებენ,
აქაც გვჭამენ და გვთლიანო;
კაცის სახით დავალთ, თორემ
პირუტყვებათ კი გვთვლიანო!
კმარა ტანჯვის ასე თმენა!
თავს გადმოსდის საწყაულსო,
კმარა!... ჩვენვე ჩვენი ძალა
დაგვანახვებს სასწაულსო!
ვსთხოვოთ მტარვალს მოგვცეს ჩვენი,
ნუ გვჭამს ცოცხლივ, ნუ გვღუპავსო!

სდუმდა ვაჟი... დაღვრემილად
დაიშალა მუშათ გროვა.
სიწყნარეა .. ყველას სახე
მწუხარეა, ვით თვით გლოვა,
მაგრამ არვის არ ეტყობა
არც ეჭვი და აღარც შიში:
თითქო ყველამ ამ სოფელთან
გაათავა ანგარიში.
მზათ არიან თავი დასდვან,
აღარ ძალ უძთ დარჩნენ მონად;
სურთ, რომ გახდნენ მომავალთა
გმირთა შორის მოსაგონად.

III

საღამოა. . ღამის ძალმა,
ფრთა გაშალა ნელა-ნელა,
ზედ გაეკრა დედა-მიწას
და ცაც ზემოდ ჩააბნელა.
არრა იძვრის: არც ღრუბელი,
ცაზე შავად განართხული,
და ქვეყანაც თითქო ცდილობს —
არ დაბეროს ძილში სული.
ზღვაც მყუდროობს...მოსწყენია
ქარიშხალთან მუდამ ომი
და წყნარ ძილში გადუშლია
თვისი გული, თვალ-უწდომი.
იქ, მეთევზის კარავიდან
სანთლის შუქი იყურება,
მაგრამ ისიც მიილია
და ბნელაში წყნარად ქრება.
სძინავს ყველას... მხოლოდ ფხიზლობს
ვაჟი, მუშათ მეთაური.
ქარხნის კედელს მიჰყრდნობია,
აღნობს ფიქრი უცნაური.
ელის ვისმე... ეს ლოდინი
მას წამებად გადაექცა.
აჩრდილს ხედავს, თავს ვერ ჰკავობს,
მყის მუხლები ჩაგეკეცა;
და ხმა ესმის გულ-დამდნობი,
ხმა საამო, ვით თვით ვნება;
ოჰ, იმის გულს ეს ტკბილი ხმა
რამდენს რასმე ეუბნება!
ეს ხმა არის სიყვარულის,
ქვეყნის ძალა, ციურთ გრძნობა:
მით კაცს ძალუძს ცა და ქვეყნის
საიდუმლოს გამოცნობა!
ეს ხმა არის თვით მუსიკა,
თვით ცხოვრების საგანია:
უამისოდ ჩვენი გული
ულმობელი საკანია!
და მას ესმის ეს ტკბილი ხმა,
ესმის და ქალს ეგებება,
ამბავს ელის საიმედოს
და ლოდინით გული დნება!
—„ლევან!“—ამბობს წყნარად ქალი—
„ვერ დავძლიე მამის გული.
არ თანხმდება... თქვენს განთქმაზეც
მას ალღო აქვს აღებული.
ამბობს მტკიცედ: ჯიბზე არ ვიქმ,
არ დავჰყვები მათ ნებასო,
ძალას ვიხმარ... სათავეშივ
მოვჰკლავ მე მათ ოცნებასო.
ხვალ დილითვე მათ განთქმაზე
წესის დამცველს მე ვამცნობო
და, ვინც სთავობსთ, შავ საკანში
სანთელივით დავადნობო!“
და დასდუმდა ქალი... კედელს
ვით ქანდაკი მიებჯინა
და შესცქეროდა, ვით უგონო,
ვაჟს მწარედ მდგომს იმის წინა
სიწყნარეა... ერთმანეთის
გულში ნაღველს ორნივ ხედვას,
მაგრამ მწარე ფიქრის შეშლას
ერთს მეორე ვერ უბედავს.
ბოლოს ვაჟი ამბობს: „კმარა.
რაც გაწამე, ისიც კიო!
ვინ მექარხნის ქალიშვილი,
ვინ მე—მუშა, გლახაკიო!
მდიდარსა და ღარიბ შუა
კავშირია გამწყდარიო:
ერთს მეორე ვერ შეიწყობს
ვერც ცოცხალი, ვერც მკვდარიო.
ვერ შევბორკავ ჩემს ზვიად გულს!
მოძმეთ ცრემლი გულს მიკლავსო;
მათ ტანჯვისთვის მამა შენი
სამაგიეროს მიიწყავსო;
და შენ დაჰგმობ ჩემს სიყვარულს,
მაგრამ რა ვჰქნა?! მშვიდობითო!
უნდა ერთად ვიმოქმედოთ,
ვინც საერთო ცრემლსა ღვრითო!
მიდის ვაჟი... ქანდაკების
ფერი ადევს ქალწულს მწუხარს,
თითქო აზრი გაუქვრია
მასში სევდას, ზღვად ნადუღარს,
მკვდრის ძეგლსა ჰგავს ბნელ ღამეში,
დაუქდია გულზე ხელი
და ასე მდგომს თავს ადგება
განთიადზე დღის ნათელი.

VI

ჩიქრაჟია... ქარხნის ახლოს
დინჯათა სდგას მუშათ ჯარი;
ყველას სახეს აღბეჭდვია
უცნაური გლოვის ზარი.
თითქოს გრძნობენ ავს რაღასაც,
განწირულან ბედის წერით,
მაგრამ შიში არ ეტყობათ:
სდგანან მხნედ და თავდაჭერით.
გვერდით უდგათ წინამძღვარი,
სიტყვა-მკვეთრი ლევან ტკბილი,
მათი ბედის თანამგზავრი,
ხალხის მოძმე, ხალხის შვილი.
ირგვლივ სუფევს მდუმარება—
გულშემზარი, როგორც წყევა:
ბუზმაც სადმე გაიფრინოს,
ამ დუმილში გაირკვევა.
ამ დროს გაჩნდა სიდღანმც ჯარი,

*) ეს ლექსი დაბეჭდილია 1905 წ. „ივერიაში“ ვბეჭდავთ ხელ მეორედ ჩვენი ახალგაზდა მკითხველის საყურადღებოდ. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეს, როდესაც ეს დაპყრობილი ქვეყნები ბუნებრივი გაგრძელებაა იმპერიის ნაწილებისა, როდესაც იქ ბინადრობს იგივე ერი, როგორც თვით სახელმწიფოს საზღვრებში. ლაზისტანი საქართველოს ნაწილია და მისი მკვიდრნი ქართველებია, ნუთუ სახელმწიფოს ინტერესებს ავნებს თუ ამ მდიდარ ქვეყანაში უოველივე დარჩება ისე, როგორც არის—საუცხოვო ბაღებით დაფენილი სოფლები მშვიდ და მუყაით მცხოვრებლებით... ამის ნაცვლად ტიალი მიდამოები თუნდაც პოლტაველ აზნაურების ხელში აბა რა ბედნიერებას უქადის მთავრობას და სახელმწიფოს?..

მეორეს მხრით, ნუ თუ მთავრობამ არ უწყის ის საშინელი სივიწროვე, რომელსაც განიცდის ქართველი ხალხი? ის ხშირად თავის კერას სტოვებს და შორეულ უცხოეთში ესახლება. მას ჩრდილოეთისკენ გზას გარდუვალი ქედი დობავს და ბუნებრივი მისი ზრდა-განვითარება მხოლოდ სხვა მიმართულებით თუ მოხერხდება. თუ შავი ზღვის სანაპიროებზე თავისუფალი მიწები აღმოჩნდება განა ქართველ ხალხს მაზედ მეტი უფლება არ აქვს, ვინემ პოლტაველ აზნაურებს და კანცელიარებში დამსახურებულ მოხელეებს? და საქმე თუ აზნაურობაზეა, განა საქართველოში ცოტა მოიპოება ხელმოკლე აზნაურობა? დროა აწ მაინც ანგარიში გაუწიონ იმ ერის უპდრესს ინტერესებს და საჭიროებებს, რომელმაც სახელმწიფოს ძლიერებას ბევრი რამ შესწირა მსხვერპლად... ძველი გზა და მიმართულება, როდესაც მთელი ერის ბუნებრივ საჭიროებებს რამოდენიმე აზნაურის და მოხელის უძირო მადას ანაცვალებდენ, არავითარი საღი სახელმწიფოებრივი მოსაზრებით არ გამართლდება.

# გ ა კ ვ რ ი თ.

როდესაც ბ-ნმა ნიკოლაძემ ბ-ნ ზდანოვიჩს ბრალდებანი წამოუყენა და ჩვენ ჟურნალ გაზეთებში ასტყდა ერთი ვაიუშველებელი, ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებდა, თუ რას იტყოდა თვითონ ბ-ნი ზდანოვიჩი, რა პასუხს გასცემდა ნიკოლაძე და რა გზით გააბათილებდა ნიკოლაძის სიტყვებს.

სამწუხაროდ ბ ნი ზდანოვიჩი ამ ჟამად ავად არის და შეიძლება ამიტომაც ვერ აძლევს პასუხს. სამაგიეროდ ბ-ნ ზდანოვიჩის თანამოაზრეებმა ნიკო მიწასთან გაასწორეს და ახლა კიდევ „სახალხო ფურცელი" ნალვერდალს ნავთს ასხავს და ასეთ კორიანტელს აყენებს, ასეთი რიხითა და ზეიმათა სწერს ნიკოლაძის, გეგონებათ მისის პირით ჭეშმარიტება ლაღადებსო!...

რა გაეწყობა! ქართველები ვართ და თუ ერთმანეთი არ დავჭამეთ, სხვა მალე ვერ ეღირსება ჩვენ გადაშენებას!!...

წინადაც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ სწორი სწორს უნდა გაუმკლავდეს!

ნიკო ნიკოლაძე და ბ-ნი ზდანოვიჩი ისეთი თვალსაჩინო პიროვნებანი არიან ჩვენს ცხოვრებაში, ისე კარგად იცნობენ ერთმანეთს, ისე ჰყავთ ერთმანეთი აწონილ—დაწონილი, რომ მათ წვრილფეხა ვექილები არა სჭირიათ. მათი ერთი სიტყვა, ერთი კალმის მოსმა, ერთი თქმა ბოლოს მოუღებდა ყოველივე გაწამაწიას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ზოგიერთი კალმოსანი სიტყვას აღარ აცლის დაინტერესებულ პირთ და სხვის მაგივრად ლაპარაკობს.

ასე მოსდის „სახ. ფ." თანამშრომელს არ. ჯ—შვილსაც, ალბად თავისი თავი ნიკო ნიკოლაძეზე უკეთესი მოღვაწე თუ ჰგონია!

ბ ნი ა. ჯ—შვილი ჯერ დაბადებული არც კი იყო, როცა ნიკოლაძე საქართველოზე ზრუნავდა, ახლაც ვერ შესწვდება იგი ნიკოლაძის აზრსა და საქმეს, მაგრამ მაინც კადნიერდება და დიდის რახით ლანძღავს (იხ. „სახ. ფ." № 622) ნიკოლაძეს, რომელიც უეჭველია მწარედ ჩაიცინებს და იტყვის: „знать моська сильна, что лаетъ на слона!

თქვენი არ ვიცი, მკითხველებო, და მე კი მგონია, რომ თვალსაჩინო მოღვაწეებისადმი ასეთ მოპყრობის ბრალია, რომ დღეს ქონდრის კაცებს ჩაუვარდათ ხელში ჩვენი საქვეყნო საქმეები და ..

აკი ამიტომაც გვაყრია ხეირი!..

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

საზოგადოება „რეგულიატორი"-ს გამგეობამ უკვე შეიძინა 80 ვაგონი სიმინდი და 10 ვაგონი მარილი, რომელიც განაწილდება სოფლის კოოპერატივებს შორის. იგივე საზოგადოება ახლო მომავალში მიიღებს 120,ათასი ფ სიმინდსა და 60 ათას ფ. მარილს. უკვე მიღებული სიმინდი და მარილი გაეგზავნება კოოპერატივებს ბათუმიდან, ხოლო მისალები—ფოთიდან.

◆ შაქარი „რეგულიატორი"—ს გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ბათუმის კომენდანტის წინაშე, რათა ნება დართოს ორი ვაგონი შაქრის გამოტანაზე შუამდგომლობას მხარს უჭერს ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი.

◆ მარილისა და სიმინდის გასანაწილებლად გუშინ ბათუმს გაემგზავრა „რეგულიატორი"—ს. გამგეობის თავმჯდომარე იასონ გაბილია გამგეობა მოუწოდებს კოოპერატივებს, ნუ გამოგზავნიან რწმუნებულებს მანამდე, ვიდრე არ მიუვათ ცნობა საქონლის სადგურზე მიღების შესახებ

◆ „რეგულიატორისთვის" კრედიტის გახსნა. ვოლგა-კამის ბანკის ქუთაისის განყოფილებამ საზოგადოება „რეგულიატორის" გამგეობას აცნობა, რომ ბანკი თანხმაა გაგუხსნას მას შეღავათიანი კრედიტი პირველ მოთხოვნილების საქონლებზე (სიმინდზე, ფქვილზე, შაქარზე და სხ.) და აგრეთვე გაზეთისა და საკანცელარიო ქაღალდებზეო".

◆ სახალხო სასწავლებლების დირექტორი ოზურგეთისა მაზრაში გაემგზავრა.

◆ მწვანე-ყვავილის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს გაკეთონ გზა, რომელიც გადის ებრაელთა ზედა სალოცველოდან ძველ გელათის ქუჩაზე. დაადგინეს ყოველი ორშაბათი შესწირონ ამ გზის კეთებას. გზის შეკეთება უკვე დაიწყეს.

◆ ძლიერ წამხდარია საფიჩხიაზე ძველ თბილისის პირველ შესახვევში ჰავჭავაძის სახელობის სკოლის ზემო ქუჩა ისეა წამხდარი, რომ მასზე სიარული სახიფათოა. საჭიროა ყურადღება მიაქციოს, ვისაც ეს ეხება.

◆ საფიჩხიისა და სალორიის მცხოვრებნი სჩივიან, რომ მათ წერილები სახლებში არ მიუდით, დამტარებლები სტოვებენ სადღაც დუქნებში, სადაც თვეობით აგდია წერილი და ხშირად იკარგება კიდეც. საჭიროა ამასაც ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

◆ კვირას, 17 ივლისს, სოფელ როხში გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „მოტყუებულნი" ორ მოქმედებიანი კომედია ცნობილაძისა და „უბედური დღე" ვოდევილი ვ. ბალახჩივაძისა.

◆ **სოფ. ორპი.** 5 ივლისს, ღამის 3 საათზე, სოფელ ორპის, მცხოვრებს გლეხს ლუკა ივანეს ძე რურუას ავაზაკები თავს დაეცნენ და ფული მოსთხოვეს ლუკას ცოლმა აჩვენა მუთაქაზე, რომელშიაც ქონდათ შენახული ფული. ყაჩაღებმა ნახეს მუთაქაში და წაიღეს 480 მან. ამავე სოფლის ყრილობამ ეჭვი შეიტანეს რურუას გაცარცვაზე, და განაცხადა რომ ბოროტმოქმედება მოწყობილი იყო იმავე ლუკა რურუასაგანაო.

◆ **სოფ. ნაგარევი.** ორშაბათს, 11 ივლისს, ღამის 1 საათზე სოფელ ნაგარევის მცხოვრებს გლეხს ფარსადან ზაქარაშვილს დაეცა ყაჩაღთა ბრბო, ოთხი კაცისაგან შემდგარი, ყაჩაღებმა მოსთხოვეს ფული, მაგრამ როდესაც ყველაფერი გადმოანგრიეს და დარწმუნდენ რომ, ფული მათ არ ქონდათ გამოვიდენ გარეთ და ხარები წაიყვანეს. გამწარებულმა ზაქარაშვილმა თოფი დაუშინა და როგორც იქნა ხარები დაატოვებინათ.

◆ პარასკევს, 8 ივლისს, მწვანე ყვავილის მცხოვრები მოსე ოყრეშიძე გორაკის ძირში თხრიდა მიწას, როდესაც ძირი გამოუთხარა ზევიდან წამოსულა მიწა და დიდი ქვა, დასცემია საბრალოს თავში და გაუჭყლეტია.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის ექსკურსიამ, რომელიც ამ ოცი დღის წინ გაემგზავრა, ბ. სანიკიძის ხელმძღვანელობით, დაბრუნდა კახეთიდან და ამ ჟამად ბორჯომში იმყოფებიან.

◆ სალორიის ქუჩაზე თვალიაშვილის შესახვევში, ახალ საკირესთან, დიდი სიბინძურეა; მთელი ქუჩა ყარს საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

◆ პრაპორჩიკი 193 ქვეითა სვიაჟსკი პოლკის სიმონ პეტრეს ძე ხურციძავა ტყვედ იყო ავსტრიაში, საიდანაც დაბრუნდა რუსეთში 11 ივნისს და იმყოფება პეტრეს ქალაქში მოსარჩენად.

## თფილისი.

— ტფილისის ქართულ, სომხურ და რუსულ გაზეთების რედაქციათა წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ და დაადგინეს ტფილისის ქალაქის კომიტეტს, რომელიც შეღავათს აძლევს სამხედრო სამსახურში გასაწვევ სახელმწიფოსათვის შინ საჭირო ხალხს, მიმართონ შემდეგი თხოვნით! მოლაშქრეების ახლანდელი გაწვევა ტფილისის გაზეთების რედაქციებს აუტანელ მდგომარეობაში აგდებს. გაზეთები საჭირონი არიან ჯარის აქეთა მხარეს, ზურგს უკანაც, ისევე, როგორც ფრონტზე, სადაც არმია მხოლოდ გაზეთების საშუალებით ტყობილობს, თუ რა ხდება ფრონტის სხვა და სხვა მხარეს და შინაურ ცხოვრების ამბებს. ომის დასაწყისიდან აქამდე ზოგნი სულ ფრონტზე არიან და შინაურ ამბებს მხოლოდ გაზეთებით იგებენ. ყოველივე ამიტომ, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ტფილისის გაზეთების წარმომადგენელნი შუამდგომლობთ, რომ გადაიდოს გაწვევა რედაქციის და სტამბათა ისეთ წევრების მომუშავეებისა, რომელნიც აუცილებლად საჭირონი არიან საქმის გასაძღოლად და რომელთა მაგიერობა ჯერჯერობით არავის შეუძლიან გასწიოს.

— იაროსლავში გადასახლებული. ტფილისიდან არჩილ რუხაძე ამ დღეებში გადაასახლეს ენისეის გუბერნიაში. იაროსლავში რუხაძე ცხოვრობდა ოთხი წელიწადი. მიზეზი ხელმეორედ გადასახლებისა შემდეგია: იაროსლავში ყოფნის დროს რუხაძემ ადგილობრივ და სატახტო გაზეთებში გამოააშკარავა რამდენიმე ბოროტმოქმედება, როგორც მაგალითად ფულების გაფლანგვა ადგილობრივ საინტენდანტოში, ყალბი წულების მიღება და მათი გაგზავნა ჯარში, ბოროტმოქმედება ადგილობრივ საგუბერნიო ციხეში და სხვ.

# ისტორიული მიმოხილვა.

ლიუტერის სჯულის სწავლის დაწყება საქართველოში და ათაბაგი მზე ჭაყ[ელი]...

XVIII საუკ...

(შემდეგი იხ. „სამშობლო" № 396)

ამ დღიდან დაიწყო საქართველოს დაუძლურება დაქსაქსვა და მოსპობა. საქმე ისე არივ დარია, რომ ქართველის ტომისთვის დადგა დიდი განკითხვის დღე, გარეშე მტერმა იპოვნა გზა და კვალი ქართველი ტომის მოსპობის დაწყებისა და საქართველოს დაღუპვისა.

საქართველო და ქართველი ერი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა. მას მოელოდა ის, რაც მოევლინა ბიზანტიას; რა შავი დღეებიც გაიარა განათლების ამ ძველმა ქვეყანამ, იგივე ნახა საქართველომ, ერთიცა და მეორეც დაემხო ბარბაროსების ხელში.

დარბეულ ქვეყნის შვილებმა მეფისნაირად იწყეს შრომა და ცდა საქართველოს საშველად, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, და ნელ-ნელა ქართველთა საქმე სულ უკუღმა მიდიოდა. ამავე დროს, ქართველებს დაუწყეს სჯულის მხრივ დევნა, ვინაიდან მათი აზრით, ვიდრე ქართველები სჯულს გამოიცვლიდენ, სპარს-ოსმალთა ერთგულები არ იქნებოდენ.

შეუდგენ ქართველების გათათრებას. ამ გათათრებას აქვს მეტად დიდი ისტორია, ვინაიდგან თითო ხეობის ქართველთ განუსაზღვრელი ტანჯვა-ვაება გაუვლიათ სჯულის გულისთვის.

ქვეყნიდან აყრას, გადასახლებას, დაპნევასა და ვინაობის დავიწყებას ისევ სჯულის გამოცვლა არჩიეს და დაიწყეს ისლამთან დაკავშირება. და ამბობდენ: სჯული-სჯულია, ჩვენ და ჩვენს ენასა და ქვეყანას თუ არაფერი ევნებათ—მივიღოთ ისლამი და მით ქვეყანაც მოვასვენოთო.

ისლამს დაუკავშირდა ცამეტი საეპისკოპოსოს ქართველობა. მოკლე დროის შემდეგ მტრებმა ქართველებს ისლამში ყოფნის დროს, დაუწყეს ენით გათათრება და გადაგვარება. ოსმალეთის სასულიერო წოდებამ შესძლო და მოახერხა ის, რის იმედიც ქართველებს სულ არა ჰქონდათ. დაივიწყეს ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა, საქართველოს ხსოვნა, და ამათ მაგიერ მათ შეითვისეს თათრული ენა და ქართული სახელები გამოუცვალეს სოფლებს, მთებს და სხვა ასეთს ადგილებს.

დღეს ქართველ მაჰმადიანთა შორის, რვა ნაწილს აქვს თავის დედაენა დავიწ-

---

დარაზმული თოფით, ხმლითა,
წინ წამოდგა ჯარის თავი,
ხალხს შეჰყვირა მკაცრის ხმითა:

რას გამდგარხართ, რა გინდათო?!
რათ არ ხედავთ ჩვენს ძალ-ღონეს,
რათ გვიცქერით ეგრე ბრმათო?!
როგორ ბედავთ თქვენ განდგომას,
არ მუშაობთ და ყბედობთო!
თავისუფალ რაღაც აზრით
თქვენს ნებაზე მოქმედობთო!
გასწით ეხლავ ქარხანაში,
დაადექით თქვენს საქმესო,

დაგაყენებთ მყის შავ დღესო"!..
—„არა!"—ერთხმად ამბობს ხალხი—
მუშაობა არ გვსურსაო!
მუქარით და ლანძღვა-წყრომით
მუდამ გვხდიდნენ ჩვენ სულსაო.
მუდამ სიკვდილს, ერთხელ მოვკვდეთ
ჩვენთვის დიდად სჯობიაო;
ხომა ხედავ, შიმშილი გვკლავს,
სახე ჩამოგვდნობიაო!
ჩვენ გიდგივართ საძირკვლად,
ჩვენგანა ხართ ძლიერიო:
ჩვენის შრომით თქვენ მდიდრდებით,
ჩვენ კი ვრჩებით მშიერიო?
თქვენთან ბრძოლა ჩვენ არა გვსურს,
ჩვენ ჩვენთვის ვართ, თქვენ თქვენთვისო,
მგმობელი ვართ ძალადობის,
ძმებთან ბრძოლის, სისხლის ღვრისო!

V.

ჰოი ღამე, ბნელო ღამე,
ჩემის ტანჯვის ყრუ მოწამე!
ამღენ მსხვერპლის თვალით მნახველს
ფიქრი რითმე დამიამე!
ურწმუნობამ მოჰკლა გული,
დამტკბობს იმედს უკრთო ფერი:
გაწყდა ხალხი უსამართლოდ
და მხნედა სდგას ისევ მტერი.

სულის ღონე შემელახა,
გულს ჩამიწვა გლოვა შავი,
დამიმარცხდა მისწრაფება
და შემძულდა ჩემი თავი!
ჰოი ღამე, ავო ღამე,
ჩემის ტანჯვის ყრუ მოწამე!
ხომ ხედავ, რომ აღარა ვარ?!
საიმედო მითხარ რამე!
ჩამისახე გულს იმედი,
გამიმაგრე მხდალი რწმენა,
თორემ დავდნი უნუგეშოდ
და დამუნჯდა მკვდარი ენა!
მამცნე აზრი მართლად მთქმელი,
რასაც ვიტყვი რომ ასრულდეს. .
მინდა სიტყვა ისე ახდეს,
რომ ნათქვამი ხალხს არ სძულდეს ..
ჰოი ღამე, წყნარო ღამე,
ხომ იმედით კვლავ დამნამე!
თვალ-წინ გაჩნდა სხვა სურათი—
სასიკეთო, ტკბილი რამე!
შენს შავს ფრთას ქვეშ წყნარად სძინავს
შესვენებულს ხალხს ერთ წამით
და მოვლენა ქვეყნის მხსნელი
იბადება ამ ტკბილ ღამით:
ვხედავ ჯარებს ჩარაზმულებს,
ჩაღვრემილად კორდზე მდგარებს;
რაღაც აზრი დიდებული'
ჩასახვიათ გულში ჯარებს.
კორდით მწყობრად ძირს მოდიან
ნაღვლიანნი, წარბ შეხრილნი.
და დგებიან იქ,

და ცრემლები, წმინდა ცრემლნი
თვალს ადგებათ მამაც ჯარებს...
ჰოი ღამე, ტკბილო ღამე!
გული ლხინით გამიძღა მე:
დიდებული საქმის მოწმე
შევიქენით დღეს შენ და მე!

ჰოი ღამე, ტურფა ღამე!
ამის მეტი რა მინდა მე!?
საოცნებო ამისრულდა
და აწ გინდ დღეც ჩამიღამე:
ცხოვრებაში გამობრწყინდა
საიმედო დრო და ხანი:
მსხვერპლი მსხვერპლად მაშინ ითქმის,
თუ ნაყოფი მოიტანა!..
ჰოი ღამე, ბნელო ღამე.
მისთვის მიყვარს შენი სახე,—
მხურვალ გულის ფიქრთა თვალი
ეს სურათი რომ მანახე!
გამიგრძელდი, ნუ გაჰქრები,
მეშუსიკე, ჩემო ღამე:
გუშინ თავი რომა მძაგდა,
დღეს სიცოხლე მომინდა მე!
სიცოცხლესთან ძაფს არ გავწყვეტ,
მხოლოდ ხშირად ამ სურათით
მომიფრინდი, ჩემო ღამე...

VI

ცივა მეტად. . მზე არსად სჩანს,
აღარ აბრწყენს ცას მის სხივი,
ხმელეთს ნისლი გადაჰკვრია
და სტვენს ქარი. ეს გულ-ცივი.
ზღვა ჰქუხსა და ზღვა როყინობს,
ქეჩოსა ჰყრის და პირს ალებს,
გულზე ქაფი ბრაზად ადგას,

8

თავს ახტება ტალღა ტალღებს.
გრიგალი ჰკვნესს, გრიგალი ჰყეფს,
რაღაცაზე თითქო სჩივის..
ზღვის ნაპირზე ქალწული დგას
და ზღვას თავზე გადაჰკივის:
„ზღვაო, ზღვაო
შე გულ ქვაო,
მომშვიდდი და მოიდარე
და მითხარი:
დღეს სად არი—
ის ვინც მე შენ მოგაბარე?!
ებრძვის დღდვას
და თვით ელვას,
ეჯიბრება სიმარდეზე?
თუ ამ ქარმა,
მომქუხარემა,
მიუღწია ნვი კდდეზე?!"
ზღვა როყინებს:
„რა გაუენებს
შენ იმაზე ასე შორსო?
ტალღა გრგვინავს:
მაგრად სძინავს
უფსკრულში შენს სულის სწორსო!
იქ წევს ქვაზე
და მას თავზე
ანგელოზი დასტრფის ზღვისო,
გულზე იგრავს,
ჰკოცნის, მუდამ გვერდს უზისო.
ხელში იყვანს,
მშვენებით ჰბანს,
მარგალიტით თავს უმკობსო,
აქეთ-იქით
დააქანებს,
ენაზება, აშიოებსო!"
ქალი ჰკივის: „ზღვაო, ზღვაო,
შემავედრე, შე გულ-ზვაო!
მეც იმ ტალღებს გამაყოლე,
რომელთაც ის გადაჰყვაო.
მეც ზღვის ქალად გადვიქცევი,
ჩემსას ჩემად დავირჩენო,
თუ მე ჩემსას შევუერთდი,
გულზე დარდს არ დავიჩენო.
მეც იმის გზას დავსდგომივარ,
ჩაგრულთ რაზმში ვერევიო,
იმის ნაცვლად ცა და ქვეყნის
ძალ-სიმდირეს ველევიო!.."

**ცახელი.**

ყებული. ამ რვა ნაწილში რვა საეპისკოპოსო კათედრა არსებობს ამათ რიცხვშია მოთავსებული არდაგანის ოლქი, ქართულად არტაანი, ძველად ამ კუთხეს ზემო-ქართლი ეწოდებოდა.

ისლამს დაუკავშირდა ორი მილიონი ქართველობა. ნახევარი მილიონი ლაზისტანში იყო და მილიონ ნახევარი კი ზემო ქართლში ანუ სამცხე-საათაბაგოში. მარტოდ ნახევარი მილიონი ქართველობა მესხეთში, ჯავახეთში ცხოვრობდა, 300 ათასი არტაანის ოლქში, (არდაგანი) ასევე სხვა კუთხეებში. ამდონა ქართველობას ისლამი გვარის შემჭმელათ მოევლინა.

ეს გარემოება—კი ქართველებს დიდად აღონებდა. ამიტომ ქართველებმა ისლამს გული აჰყარეს, მეტი გზა აღარ იყო, ქართველებმა დაიწყეს ფხიზლად ყურება და მოქმედება. ამ დროს მათ კარგად გაიცნეს კათოლიკის სარწმუნოება. ამ სარწმუნოებაში მათ დაინახეს დიდი ძალა და დაიწყეს ქართველებმა კათოლიკის სჯულზე გადასვლა, ამ სჯულს დაუკავშირდა 600 ათასზე მეტი ქართველი. პირველ ხანებში კათოლიკობა ქართული ნაციის მფარველად გამოვიდა, მაგრამ ბოლოს კი, როცა სომხის მხითარისტების ძალა აღორძინდა, კათოლიკობამაც ასევე დაუწყო ქართველობას შეჭმა, როგორც ისლამმა.

აი როგორ და რა კრგად მოხდა ეს ჩვენთვის სამწუხარო ამბავი.

**ქართველ კათოლიკების გასომხება.**

რაკი საქართველოს ერთობა დაეცა და ქართველი ერიც წაიქცა, მის შემდეგ მთელ ქართველობის არსებობის საქმეც სავალალო შეიქნა.

ნათქვამია,—: ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ზედ მიადგებაო.

ასე მოგვევლინა ჩვენც! რაკი მუსულმანებმა დაგვიჯაბნეს და დაგვიწყეს გადაგვარება, არც სხვებმა დაგვაყარეს სიკეთე და თვით ქრისტიან სომხებმაც დაგვიწყეს გადაკეთება და გადაგვარება, პირველად სომხებმა ქართველებს კი არ დაუწყეს გადაგვარება ეს მათ ვერ გაბედეს, მათ დაუწყეს გადაგვარება ქართველ კათოლიკებს, ამათი მოქმედების პირველი ნაბიჯი ქართველ კათოლიკეთა გადმოგვარებით იწყება და XVII საუკ. ბოლოს, იგინი ქართველ მართლმადიდებლობასაც მრავლად ასომხებდენ.

აქ მოკლედ მოვიყვანთ ქართველ-კათოლიკეთა გასომხების ისტორიასაც, ქართველ კათოლიკებს, რომის სასულიერო მთავრობა, სიშორის გამო ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა, ამიტომ მათ ქართველ-კათოლიკეთა მართვა-გამგეობის საქმე მხითარისტის სომეხ-კათოლიკეთა ბერებს მიანდვეს. ეს მათთვის იყო აღდგომა და დიდი ეროვნული სიმდიდრის შოვნა. მხითარისტების ძმობა ჯერ არც კი იყო დაარსებული, რომ სომხის გვარის მოყვარე კათოლიკენი ქართველებზეც გულ-მოსულნი იყვნენ,—ისინი საქართველოს სომხეთად სთვლიდენ და ქართველებზე ჯავრიც მოსდიოდათ, რომ ამ წყეულებმა კი შეინახეს თავის სამეფო და სომხეთი კი ადრე დაიმხოვო". სომხეთის დაცემას ქართველებს აწერდენ, ამიტომაც ამ „აზგასერებმა" ქართველობა და საქართველო ძირიან ფესვიანად უარი ჰყვეს. 1600 წელს ევროპაში რამდენჯერმე სომხეთის კარტა დაბეჭდეს და იქ საქართველო სომხეთად მოიხსენეს და ასე აღნიშნეს რომ იგი სომხეთიაო. ამათმა გველობამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

1620 წლებში, როცა რომის ტახტმა გადასწყვიტა ქართული სტამბის გახსნა რომში, პირველად კათოლიკეებს ჰკითხეს. საქართველოს ამბები, მერე რა ქნეს ამ გმირებმა? რომის კონგრემაციას ასეთი ყალბი ცნობები მისცეს: „ჩვენ საქართველოს არ ვიცნობთ იქ, სადაც თქვენ საქართველოს ფიქრობთ, იგი სომხეთია და ხალხიც სომხის გვარის არის. საქართველოს ცოტაოდენი ადგილი მარტო მთეპში აქვსო". ასეთმა ჯორებმა კიდამ სტამბის გახსნის საქმე შეაფერხა, მაგრამ ეს ვერ მოხდა, რადგანაც ლათინის პატრები თავდადებით იცავდენ საქართველოს. აი ასეთ მგლებს ჩაუვარდათ ხელში საქართველოს კათოლიკეები, კათოლიკეებთან მთელი ქართველობაც. რაკი ამათ მიაღწიეს თავიანთ წადილს და ბოლოს რომის ტახტმა მთელი საქართველოს სამისიონერო საქმის მართვა-გამგეობაც მათ ჩაუგდო ხელში. მას შემდეგ მათი ცდა იყო საქართველოს „სამხეთად ქცევა და ქართველების გასომხება ენით და ვინაობით. ამისთვის დაიწყეს მათ შრომა 1630 წლებიდან. აი რა ქნეს:

ლაზისტანსა და ჭანეთში სომხის კათოლიკობას დ უკავშირეს 200 მეტი ლაზი, მერე ამ ლაზების დიდი ნაწილი გადაასახლეს არზრუმისაკენ, ბაიაზეთის, ალის და ასეთ კუთხის სომეხ კათოლიკეთა შორის. ეს კათოლიკე ლაზებმა აქ დაჰკარგეს ლაზური ენა და სომხურად იწყეს ლაპარაკი, დღეს იგინი ნამდვილ სომხის შთამომავლად სთვლიან თავს, თუმცა შთამომავლობით ისინი ქართველები არიან.

ასე გასომხებულ ქართველ კათოლიკეთა ერთობ დიდი რიცხვი მოიპოვება თვით საქართველოში მცხოვრებ სომეხ კათოლიკედ წოდებულ მეფურნებშიაც კი. ვინც მეფერნეების ტიპს დააკვირდება და გაიცნობს მათს ხასიათს, იგი მათში სომხის ერისადმი ნათესავობას სულ ვერ დაინახავს. თვით თფილისის და სხვა ქალაქის მეფურნეებსაც რომ დავაკვირდეთ, თქვენ ცხადათ დარწმუნდებით ამაზედ, რომ ეს სომეხ მეფურნეები ტიპით სულ არა ჰგვანან სომხებს, არამედ უფრო ქართველებს.

გარდა ასეთის მსგავსებისა, ლაზების ქართველთ შთამამავლობასისიცხადადაჩენს რომ თვით ასეთ გასომხებულ ქართველ ლაზ კათოლიკეებს გვარებიც შერჩენიათ ზოგიერთებს ლაზებს გარდა, რომ გაფრანგებულნი და მერე გასომხებულნი თვით აჭარლებიც ბევრნი უნდა იყვნენ, ამას ამტკიცებს ისიც, რომ ასეთ გასომხებულ ქართველებში გვარად „აჭარიანცებიც" არიან. ასევე გასომხებულ ქართველებით სავსეა არტაანის ოლქი,(არდაგნის) და სხვა კუთხეები.

ასე და ამ გვარად, ქართველი ტომის ერი შეჭამა ისლამმა და ამით ქართველთ მოაკლო 2 მილიონი ხალხი, ასევე ქმნა კათოლიკობამ და ამ გზითაც, ქართველობას სომეხ მხითარისტებთა ცდით მოაკლდათ 200 ათასზედ მეტი ქართველობა და ესენი დედა ბუდიანათ გასომხებულ იქმნენ. ქართველებს ვნება მოუტანა, როგორც ისლამმა, ისევე სომეხ კათოლიკეთა კაციჭამიაობამ.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## პროვინციის ცხოვრება.

(გაზეთებიდან.)

**ახალციხე.** 45 წელიწადია, რაც ახალციხეში, სახელდობრ რაბათში, არსებობს ერთკლასიანი სკოლა პროფესიონალური განყოფილებით.

საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ახალციხის მხარე კულტურულად რომ ჩამორჩენილია ეს ყველასათვის ცხადია. აი აქ არის საჭირო ყოველი მცოდნე ადამიანის ფხა და ენერგია. ჩვენი მასწავლებელი ქალები ქარაფშუტად ატარებენ თავიანთ დროს. სკოლის გამგეობის ზნეობრივი მოვალეობაა ასეთ არანორმალური მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს

— —

კახეთ-ქიზიყის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრების დადგენილება თელავის სასულიერო სასწავლებელში პირველი განყოფილების დაკეტვის და მესამე მოსამზადებელ კლასის პარალელურ განყ გახსნის შესახებ წარედგინა დასამტკიცებლად ალავერდის ეპისკოპოზ. პიროსს. ყ ლო პიროსმა არ დაამტკიცა 1 განყ. დაკეტვა, და ამნაირად ისევ დარჩება ეს განყოფილება, ხოლო მესამე განყ პარალელურ კლასის გახსნის შესახებ უკვე აღიძრა სინოდის წინაშე შესაფერისი შუამდგომლობა.

— —

**ხონი.** ჩამოტანილი სიმინდი თანდათან ძვირდება. ფუთი ჩრდილ. კავკასიის სიმინდი ამ ჟამად 1 მ. 60 კაპ. არის, ადგილობრივ კოოპერატივს კარგა ხანია სიმინდი გამოელია და მგონი არც ფიქრობს კიდევ მის მოტანას.

— —

ხონში შაქრის მწვავე კრიზისია და აქ დროებით მცხოვრებლები სომხები ყიდულობენათი ფუთობით ადგილობრივ მოვაჭრეებისაგან შაქარს და სადღაც მიეზიდებიან.

— —

ცოტა ხნის [გვალვების შემდეგ ისევ მოვიდა. უკანასკნელ ერთი კვირის განმავლობაში საშინელის სიცხეები იყო. ეხლა წვიმის შემდეგ ცოტა აგრილდა.

— —

**ოზურგეთი.** 7 ივლისს, ღამის 11 საათზე გაუჩნდა შიგნიდან ცეცხლი, არსენ ვადაჭკორიას ორ სართულიან სახლს, რომელიც ცოტა ხნის განმავლობაში სულ გადიბუგა.

— —

**დ. ხობი** (ზუგდიდის მაზრა) სხვებთან შედარებით კულტურულათ ჩამორჩენილია. მიუხედავათ ამისა, აქ იშვიათია სოფელი, სადაც კოოპერ. სავაჭრო არ არსებობდეს, ან და მის დასაარსებლად შუამდგომლობა არ იყოს აღძრული. სამწუხაროთ მომზადებული ხალხი არ ჰყავს კოოპერატივს

— —

**ბაგური** (აკეთის საზოგადოება) ეს სოფელი არც ისე ჩამორჩენილია კულტურულად. აქ არბებობს მდიდარი სამკითხველო რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ის თვალსაჩინო განათლების ტაძრათ უნდა ჩაითვალოს არამც თუ ამ სოფელში, არამედ მთელ ოზურგეთის მაზრაში. მაგრამ, საუბედუროთ აქაურმა ახმლგაზრდობამ დღემდის არც კი იცის მისი არსებობა. იმის მაგივრათ, რომ სწავლა-განათლებას დაეწაფონ, ადევნონ თვალყური ჟურნალ-გაზეთებს, რომ ცოტათი მაინც დაუახლოვდენ ცხოვრებას, მთელ დღეს ბანქოს და ნარდის თამაშს და აწ ნიადაგზე წარმომდგარ დავას ანდომებენ.

— —

**ს. თეკლათი.** (სენაკის მაზრა"). საერთო ჭირვარამს და გაჭირვებას აქ შინაური უბედურებანიც ზედ ემატება. ავაზაკები, რომელთა რიცხვმა ამ ბოლო დროს თვალსაშინოთ იმატა დიდ ვნებას და ზარალს აყენებენ მშვიდობიან ხალხს. 6 ივლისს მათ ცეცხლი წაუკიდეს ირაკლი კუტუავას, გუჯუ ხარბედიას და შილიფი შურღიას სახლებს. მასთან ამ უკანასკნელის დედა მძიმეთ დასჭრეწ. ზარალი ერთობ დიდია.

### სურამის ამბები.

შალვა დადიანის და ქ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით აქ გაიმართა წარმოდგენა. დადგმული იყო „სტუმარნი" და „ქარიშხალი". წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო.

— —

მიუხედავათ იმისა, რომ სააგარაკოდ აქ ბევრია მოსული ხალხი, ინტელიგენცია არაფერს არ აპირებს.

— —

სურამში სადგურის ახლოს სასმელად მეტად სასიამოვნო რკინის წყაროა, რომელიც ერთს სომეხს უყიდია და თავის ეზოში გაუმართავს

— —

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა არ უვარდება ინტელიგენციას ბანქოსა და კარტის თამაშში და ერთგულად ნახულობენ საბილიარდოებს.

## პატივცემულ „სამშობლოს" რედაქციას

**და ბ-ნ გრ. ცხაკაიას.**

— პატივცემულო, რედაქციავ,—თქვენი პატივცემული გაზეთი (იხ. 3 ივლისის №-რი) „სამშობლოში" მოვათავსე პატარა წერილი შესახებ იმისა, თუ ალაგ-ალაგ როგორ მტრულად შეგვებენ ზოგიერთი ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჩვენი სოფლის სამეურნეო აღწერას. მოვიყვანე ერთი ნიმუში ასეთი (შორაპნის მაზრიდან) მოქმედების და აღვნიშნე შორაპნის მაზრის შუამავალ მომრიგებლების თ-ი ი. წერეთლის და გრ. ცხაკაიას უდიერი მოპყრობა და ხელის შეშლა იმ პირების, რომელთაც სამეურნეო აღწერა აქვთ დაკისრებული. ბ-ი გრ. ცხაკაია, როგორც სჩანს თქვენი გაზეთის პატარა სარედაქციო შენიშვნიდან (იხ. „სამშობლო" 403 №-რი) ჩემ მიერ მოთავსებულ ცნობას საფუძველს მოკლებულათ ცნობს და თქვენც მწუხარებას გამოსთქვამთ თუ ი. წერეთელზე და გრ. ცხაკაიას შესახებ ყალბი ცნობის მოწოდებით თქვენმა უმორჩილესმა მონამ პატივცემული რედაქცია შეცდომაში შევიყვანე.— ამით ვაუწყებ პატივცემულ „სამშობლოს" რედაქციას, რომ ყალბი ცნობების მიწოდებას საზოგადოთ ჩვეული არა ვარ ვაცნობებ აგრეთვე პატივცემულ გრ. ცხაკაიას შემდეგს: ნაწილი იმ ბრალდებების, რომელიც მას და მის ამხანაგ ი წერეთელს წამოუყენე გაზეთის ფურცლებზე ამოვკრიბე მათ მოქმედების წინააღმდეგ აღძრულ ოფიციალურ საჩივრებში, რომლის მოკითხვა ბ-ნ გრ. ცხაკაიას შეუძლია ოფიციალური დაწესებულებების კანცელარიებში და ნაწილი კი მომაწოდეს იმ ინსტრუქტორ-რეგისტრატორებმა, რომლებმაც პირადათ განიცადეს და იგემეს გ. ცხაკაიას არა კეთილი განწყობილება თავიანთ მოვალეობის აღსრულებაში. გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ჩემი წერილით შეურაცყოფილ გრ. ცხაკაიას წინადადება მისცე პასუხი გამცეს და მეც ჩემის მხრით არ დავაგვიანებ იმ წყაროებიდან სიდანაც ამოვკრიბე მათ შესახებ ცნობები უფრო დალაგებით და განმარტებით პასუხზე პასუხი გავსცე.

პატივისცემით: უცნობი.

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> liedesgaden für die. Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensiugnerstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse, Fond Russepour les prisonniet de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> suisse recommandée Comite internasional de Ia Croix rouge Agence des prisonniers be guerre Genéve.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. | 25 | წ |
| „ | — საღამ. — | 8 ს. | 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. | 40 | „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. | 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. | 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. | 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. | — | „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. | 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. | 3 | „ |
| „ | — დილის — | 5 ს. | 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 6 ს. | 20 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 5 ს. | 20 | „ |


**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ქორქოლაძეების სამკურნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში..

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)